ᲛᲐᲜᲘᲛᲐᲜᲘᲢᲘᲖᲛᲘ

ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐ�პ.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔᲛᲔᲢᲘ

ᲙᲕᲘᲠᲐ. 3 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1929 Წ. (22-Ე) № 39

„ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ“ ᲗᲐᲘᲒᲣᲚᲘ



(იხ. 1, 2 და 3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაიგული

ანუ

თქმულება აჭარისტანის ძველ ხელმძღვანელებზე

ეს „ბუკეტი“, ეს კუნწული,
ამ ბუჩქზე რომ შეხუნძული,
ვინ მოხაზა ამის ბსგავსი?
სოციალიზმს მწარომელთ კლასი
თუ აგებს და თუ აშენებს,
დენის სწრაფად მისთვის ცხენებს:
თუჯის, რკინის, ჯავშანოსი,
რადგან ვალი აძევს, დროსი!
ისტორიამ მოიწოდა
თვით ის და მთლად მისი ცოდნა,
მისი ძალა, მისი ნება,
უამისოთ აშენება
სოციალ - კომუნიზმის არა,
თუნდაც გქონდეს ბევრი ფარა,
ფარეხისაც არ იქნება.
ეს უდაო არის მცნება!
მაგრამ ვინც რომ აჭარისტანს
განმგებლობდა აგერ დიდხანს
წარსულ წელთა მთელი რიგი,
სხვებრ მსჯელობდა თურმე იგი:
თუ წინსვლაა, იყვეს წასვლა:
ხალხის ფულის ნელ-ნელ ცანცვლა,
იუბილე, ფლაწგვა, თრობა,
უთავ - უყაირათობა,
დროს ტარება „ფულის ბოხჩით“,
ტოესტ—კამანდიროვოჩნით;
ხან მოსკოვი, ხან თბილისი
ჰზარდა მათი მოსვლა - მისვლით...
შინაც — კარგი ბინა - ბუნა,
სამყოფად თუ ჩასათბუნად!
ერთი სიტყვით, ეს პარადი,
თუ სახალხო მასკარადი
განაგებდა მთელ ერ კუთხეს,
სანამ ზურგში მათ არ ჰზუთხეს
და მუნით არ გამორეკეს..
ესე იგი, გითხრათ მოკლეთ,
ყოველი არ გამომელავდა,
თუ ვინ როგორ საფქვავს ფქვავდა...
მეც აწერას იმათს ვიწყებ:

—:—

ჯერ მამედ გოგიბერიძე,
როგორც თავი სახკომსაბჭოს;
„მამედ ბლაყვად“ ხალხი გვაცნობს.
მის თავსაც და მისსავ ფეხებს.
საცინლად არ ჰყოფნის გლეხებს
მისი რამე განმავლობა,
მისი ორ-ცოლოვანობა
და ჯიბეშიც პარტბილეთი,
ვინც რომ დაჰგმო მინარეთი,
დაჰგმო მოლა, **დაჰგმო ჯამე...**
— „**დაჯექ, მამედ, ფული ჭამე!**
ხვეტე შენთვის „ჩერვონეცი“...
კაცი უნდა იყვე ბეცი,
რომ არ გქონდეს ამის ცნობა.
შენ თუ არ გაქვს, **მაშინ** ცოლმა
უნდა მორთოს **შენი** მოვლა..
მამედს „ვერა ივანოვნა“,
ბედა ცოლად **რომ** ეწყესა,
ბათომელი ეს „პრინცესა“,
ბოქაულის ნაცოლარი,
შემდეგ თავი **ალალარი,**
ბათომის „დეტკომისის“,
განმგებელი მთლად **მისი** ის,
სხვანაირად — **თავმჯდომარე...**

მაგრამ ჰყავდა მას მოლარე,
იგივ საქმის სეკრეტარი,
კაცი, რალა, პროლეტარი,
გიორგ ჩხატარაშვილი,
და ამ საქმეს აგი წყვილი
განაგებდა ერთობ ფართოდ:
თავში—ვერა, უკამათოდ,
და გიორგი კი—ბოლოში...
კომისიის „ორი გროში“,
ათასები, ათეული,
მას ჰქონდა მთლად დათრეული,
და ჯიბეშიც ჩანადები,
სულ საბჭოთა მანათები:
„ჩერვონად“ თუ „ხუთად“, „სამად“,
თავს გვაცნობდა ვითომც ხამად:
არც—დავთარი, არც—ქვითარი,
თითქოს ჰქონდა ნამზითარი!
უსრულებდა იგი თხოვნას,
მხოლოდ „ვერა ივანოვნას“,
და საითაც იმას სურდა,
იქით სტენდა გოგი ხურდას!
ამ ხურდებით ვერაც სახლში,
მთლად ბრუნავდა ეშხის ჩარხში,
ესე იგი: სჭამდა, სვამდა,
ხელმწიფურად ტანს იცვამდა,
და დედოფალს რაკი ჰგავდა,
ფარეშებიც ბლომად ჰყავდა:
„მასსაჟისტკა“ იმოტელა,
სჩანს, რომ აკლდა ტანის ზელა
და ნაკლს ამით ისრულებდა!
სხვებს ხომ, რასაც ისურვებდა,
უსრულებდენ სურვილს მასა!
გოგის ჰქონდა ამის კასა
და იღებდა მუნით ხურდებს,
ვით შეშვენის ღამის ქურდებს!
და ხურდებით თუ მსხვილ - მსხვილ
დარჩა კასაც გამოცლილად!..
ეცენ გოგის! დაჯდა სუდი!
დღე დაადგა საწყალს ცუდი:
მიუსაჯეს მას გამსახლი!..
„იჯდეს მაგი მამაძაღლი“!
განრისხებით ბრძანებს მამედ!
„ჭამა“ ასე ჩააშხამეს:
ვინც ის იდვა თავის თავზე,
ვინც რომ ვერას ნახარჯავზე
თავი თვისი ტანჯვას სწია...
მაგრამ მოდის ამნისტია,
(ის მამედმა **მოიტანა)**
გოგის ყელზე **მოსდეს** დანა
და გამოსჭრეს **იგი** თოკი,
გამსახლში რომ ეპყრა **გოგი!**
ამნისტია სხვებს **მიაკლეს,**
მას კი **„ჯდომა“** შეუფარგლეს...
და ამრიგად **ეს** მფლანგველი
გახდა მტრედი **უცოდველი,**
რადგან „ვერა ივანოვნას“,
უსრულებდა მამედ **თხოვნას...**

—:—

მაგრამ მამედს, **ლალის** მტევანს,
მოადგილედ ჰყავდა **ლევანც,**
კაცი, გლავნი **კომისარი...**
— **გმადლობ,** დროზე **მოგისწარი,**
ჩემო ლევან, **კაბინეტში!**
აჭარისტანს **შენი** ნეშტი,
ვიცი, **დიდხანს** **ამშვენებდა,**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავი ფეხის პატრონი

— ვისთანაც საქმისთვის კი მივედი, ყველა: ან ავათ გახდა, ან გასწმენდეს, ან მოხსნეს, ან გადაიყვანეს, ან მოკვდა...
— ჰოდა, თუ კაცი ხარ, მეორედ ჩემთან ნუ-ღა მოხვალ!..

ავტოებს რომ აშენებდა,
აჩერებდა იქით, აქეთ...
კოკაიას ქალთან გნახეთ
ხშირად ღამით „ნაგულავი“...
ზურგს იფხანდი ნაგულაით,
და საქმელ მჭადს რომ ნატრობდი,
ის არ გახსოვს, თავს-რა სცნობდი,
ქვეყნის გამგეთ, ქვეყნის ბურჯათ?!.
— ლამაზ ქალებს თუ დაურჩა,
შენი თავი კვლავაც კარგათ,
ეშხისა და ჯიბის ხარკათ
მაგრამ ვაჰ თუ ერთმა მხოლოდ
სამუდმოთ თუ საგასტროლოთ
მოიტაცოს იგი ხვითო,
ნაპოვარი წვა - დაგვითო!..
ასე მოსთქვამს ქალთა კრება,
და კვლავ ისევ ენატრება,
შენთან ჯდომა, შენთან გავლა...
ამ საქმეს ხომ დიდი დავლა
სჭირდებოდა თავის დროზე!
შენც ნატრულ არ იყავ გროშზე,
რადგანაც პარტ-მაქსიმუმი,
ორად გქონდა შენაჯუმლი,
და ორმოცდა - ორ „ჩერვონეცს“,
შენ ითრევდი თვის თავს ყოველს...
თანაც გზებზე „საკატაოთ“,
სახარჯოთ თუ საფანტავათ,
ათასობით იჯიბავდი,
ათას ვერს გზებს რომ ჰთოკავდი:
ტფილისს, მოსკოვს თუ ლენინგრადს...
ახ, ის გზა რათ არ დეინგრა,
ცის მეხით თუ მიწის ძვრითა,
შენ რომ ასე დიდხანს გზიდა,
შენ რომ მოგცა ხელში სკიპტრა?!.
და „მეფობა“ ეს გაგემა

—.—

არც **იოსებ ბრეგაძემა**
არ დაგიგდო მაშინ ცალი:
მასაც სწვავდა ხარჯვის ალი!..
მას მობრეგა რომ არ აწყენს,
აწ მიხვედრილ მეც ვარ ამდენს,
მაგრამ თავის დროს და წესზე
შენ შესძლებდი ბრეგაძეზე
საკრიტიკოდ ენის დაძვრას?!.
ხომ არ ფლობდა იგი მაზრას,
არც თემს ედგა საბჭოს თავად,
კარგათ იყო ეს თუ ავად,
განაგებდა **აჭაროსმუსს**,
თუმც ქარხნის ბოლს და ქარხნის მურ!..
იგი მუდამ გვერდს უარდა,
ნადირობა რომ უყვარდა..
იდგა ღამის ხვაშიადი,
საღამო თუ განთიადი,
თუ დღე იყო, ზამთრის, **მთაში**,
ძაღლი ეჯდა მას ავტოში,
და კახაბრის მინდორ-ველებს
შორიდანვე ხვევდა ხელებს..
დარი იყო თუ დღე-ლეგა,
უყვარდა მუნ თოფის ბრეგა..
და ნადირთ სვრას თუ მკვლელობა
ანაცვლებდა მრეწველობას!..

—:—

ცხონდა ლექსის გამომგონი,
რომ ტაკიძე მელიტონი,
არ გამორჩა ამ გმირებში!
ისიც ამ ზღვის ნაპირებში,
ეწეოდა მძიმე ღვაწლებს!..
კაცი დიდხანს ხომ ვერ გასძლებს,
ქვეყნად ბერად რომ იაროს?
ქალს რომ ნახავს, ენების წყარეს,
უეჭველად ხელს წაატანს,
ისე, როგორც მწიფე ატამს!

ძალას იხმარს ატმის კანზე,
მით უფრო, თუ გასაქანზე
არც მშლელს ხედავს, არც მოწამეს..
გათავდა: გულს დაიამებს
და გამოვა გარეთ ისე,
ვით სპეტაკი სიხალისე!..
თქვენი ძალა და უფლება,
რომ იხმაროთ, რა იქნება,
მიაღწიოთ ოლონდ ამას,
ტოესტ—ძალად „ატმის“ ჭამას?!.
არც გასტეხო კოკა წყალზე,
და იხმარო ძალაც ქალზე...
ამ მელიტონ ტაკიძეზეც
აქ მოთხრობათ ხადის ესეც:
ძალის ხმარად ქალზედ მისი,
როს ნარკომი ერკაისი,
იყო იგი აჭარისტანს...
ეჰ, ალლახო, როგორ იტანს,
ამ ხალხს აგი შენი მიწა?!.

—:—

ჰო, კინაღამ დამავიწყდა
მე **ფანცხავა**, ეს **ალეკო**..
ვითომ, რაც ვსთქვი, ის არ მეყო,
და კვლავ უნდა ესეც მეთქვა:
ტელეგრამა კაცმა ჰბეთქა
ბათომიდან „პრამო ტიფლიც“:
— „თქვენ ალეკო ამას გითვლისთ
რომ ამა და ამ თვის ბოლოს,
ბათომიდან ზემო ხულოს,
ავიტანეთ კომუნიზმი!
ჩადრისგან თვით ხალხი იჯმნის!..
მედრესებს და მინარეთებს
შლის ყველგან და ცეცხლს უკეთებს!
რომ ასეთი, რომ ისეთი
შეეიგენით ბრძოლის სენთი,
რაც უკუნი ბნელი იყო!“.
მაგრამ რაც მან გამოიღო
ნაყოფად თუ „კეთილ თესლად“,
ყველამ იცის შემდგომ ესა,
თუ საქმეს რაც დაემართა!..
ხალხისა და ქვეყნის მართვა,
ხომ არ არის ვირის ხეხნა?!.
ფრთხილად უნდა ემოქმედნა,
ტაქტიკით და დაკვირვებით
და პირადი გაჭივრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორი მსჯელობა

— ვაცო ვის შეუძლია გამოსცვალოს ასეთი გამგე?
— არავის, სიკვდილს გარდა!..

სხვისთვის წყლული მოებანა...
მან კი მძიმე ამოცანა,
„ნაურაზე“ გადასჩეხა,
და კისერიც მოიტეხა!..

—:—

რა ვქნა, ტვირთი ვერ მოვიძვრე,
იაშა სულაბერიძე
რომ არ დავრთო „ლოჟკად“ — „ჩაშკას“!.
შემოკლებით მას „იაშკას“,
უძახოდა თითქმის ყველა.
ოცდა თექვსმეტ თუმნის წველა
ჰქონდა მასაც ყოველ თვეში,
შვიდას - რვაას მანეთს ყელში
კვლავ ყოველ თვე მოიგდებდა,
(სუფსიდიებს დიდ ხათრს სდებდა!)
არა სძულდა არც პურ-ღვინო,
იყო მეფე უგვირგვინო.
და სოვნარკომს ფაქტიურად,
ის მართავდა აქტიურად!
გამყრელიძის მოთათბირე,
ესო, როგორც თვალში - დირე!
სხვანაირად შემოკლებით,
არც ქებით და არც გინებით,
იყო მთელად „სოვნარკომი“,
სავარძელში კენტად მჯდომი...

—:—

და ექიმი მასთან **ვანო,**
მუედლიძეა იგი გვარად,
მეფე გიორგის, ინგოლინს,
რომ გვაგონებს როჟა მისი!
მაგრამ, ალბათ, თავში რეტი
მას მეფეზე ჰქონდა მეტი,
რომ ხელთ ეპყრა საქე ღვაწლის
გამყრელიძის და ბრეგაძის!
და იმათი მოთათბირე,
იყო თვეში ოთხი კვირე...
მიტომ საქმეც რესპუბლიკის
მათ მიჰყავდათ სულ წინ ბლიკვით!..

—:—

აქ ხსოვნიდან ვერ მოვიძვრე
ნარკომტრუდა მე **ბრელიძე...**
„ბრეც“ გახლდათ და „ბრეზეც“ მეტი
ენა-სწრაფი, თავ-ქერქეტი;;
მასაც ჰქონდა დიდი ძალა:
იყო მათი მაჩანჩალა!..

—:—

ანაბოლოს სოფლად ღოლოს
თვალი ვინ არ შეაყოლოს?
ამ ჩვენ **საშა კუხალაშვილს,**
სტატისტიკის გამრჯე ყმაწვილ
ვინც ნარკომის ლირდა შრომა
და უყვარდა ფული ბლომად,
თავის თუ სხვის გასაძლომად,
და იღებდა მას უომრად,
ხელფასად თუ „სვერხურონჩნ
ანუ „კომანდიროვოჩნად“!.
მისაღები დიდი თანხა
მან კასაში რომ ვერ ნახა,
თვალი მოსჭრა იქვე შკაფმა
და შეავლო ხელი სწრაფმა!
სამმართველოს სელის სკამი
მაგიდა თუ სხვა რამ დგამი
მიხირეკა, მოხირეკა,
ხელმაც კი არ უწყო დრეკა
და ბაზარზე იგი კალოდ,
გაიტანა „საპრადალოდ“!
აღებული ფული —ფარა,
კი ჯიბეში ჩაიტარა..
ტარა“... მარა „ტირა ტარა“
აქ კი ჩატყდა ბედის ჯარა,

—:—

აღარ იყო მეტი ჩარა
და ყველა ეს მეტიჩარა,
ხროვა ქვეყნის ყოფილ ბურჯ
პარტიის და ცეკას ურჩთა,
უტაქტო და უბადრუკთა,
ხალხის ხარჯზე აქ რომ სურდ
და ილხენდა ასე ერთხან,
პარტიიდან განიფერთხა,
თუ მიიღო რამ სასჯელი,
ასატანად უფრო ძნელი,
ვიდრე არის ქვეყნის მართვა!
და ანდაზაც გაგვიმართლა:
„რაც მოგვივა დავითაო,
ყველა შენი თავითაო“!.

ტარტაროზი.

რადიო ქრონიკა (ჰიათურა)

„გენერალური“ მოსაზრება.

რაკი ტრესტის თანამშრომელი ბლატ. ჯაჯანიძე წევრი იყო პარტიის და ამავე დროს უჯრედის მდივანიც, ყველა ამაების შემდეგ მან ზედმეტათ სცნო გამხდარიყო პროფკავშირის წევრიც. ამ სახით, მან რეჟიმ-ეკონომია უყო ერთი წლის კავშირის **სწევრო** გადასახადს. მოკლეთ რომ ვსთქვათ, თავი დაახწია ზედმეტ ხარჯებს. მისი ამგვარი „გენიალური“ მოსაზრება პარტიის გამწმენდმა კომისიამ „დაბრაკა“.

მადლობის ღირსია

მუშკოოპმა მიიღო ორი ვაგონი გიტარები და ერთი ვაგონი საუკეთესო ხარისხის გარმონები. მთავარი დანიშნულება აღნიშნული დასაკრავებისა გახლავთ გართობა სევდითა და ვარამით შეპყრობილ - გაჩისტულ წევრებისა, რისთვისაც მუშკოოპის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. დიმ. მელქაძეს დიდ მადლობას უცხადებს „ტარტაროზი“-ს პირით, როგორც გაჩისტული პარტწევრები, აგრეთვე კანდიდატები.

თვითკრიტიკის ნიაღაგზე

არა, ვინც ამ ათასგვარ ლოზუნგებს ისვრის, ან შემოჩენილი ვინმეა და ან ჩემს საწამებლად გაჩენილი. მაკრატლის პოლიტიკიდან დაწყებული, ამ თვითკრიტიკის დრომდე, იმდენი უბედურება გამოვიარე, რომ თმა რომ შეერჩინა ჩემს მეუღლეს ჩემთვის, გავთეთრდებოდი სწორედ.

მაკრატლის პოლიტიკა უდაოდ შეგასრულეთ მე და ჩემმა ცოლმა, ეკონომ რეჟიმიც უმტკივნეულოთ ჩატარდა, გაბერილი შტატი ექიმის საშუალებით ერთი საათის განმავლობაში გავანიავეთ, თუმცა ერთი თუმანიც დამიჯდა ის ამბავი, მაგრამ დირექტივა მაინც შევასრულე. შეჯიბრების დროს კი გამწვავდა ცოტა არ იყოს საკითხი, მაგრამ მალე ჩემი ოჯახი მთლიანად ჩაება შიგ. როგორც ყოველთვის, აქ მომავალმა თაობამ ითამაშა მთავარი როლი. ჩემმა პატარა ბიჭმა ჭიქა გადააგდო და თორმეტად აქცია, მისმა უფროსმა დამ ფინჯანი გაისროლა და კედელს მიაფშვნა, ჩემმა ცოლმა აიღო ლრანფინკა, გულმოსულმა ესროლა გოგოს, მას აცდა, მაგიდას მოხვდა და იქაურობა ნატეხებათ აავსო, მე გულმა არ მიმითმინა, ჩავეში ამ შეჯიბრებაში და შუშიანი ლამპა, რომელიც ცოლს მზითებში მოყვა, იატაკზე დავანახცხე. ბავშვები სიხარულით ცას დაეწიენ, მივარდნენ განჯინას, ამოალაგეს ნისიათ გამოტანილი სერვიზი და თითო - თითოთ შეამტვრიეს ერთმანეთს. ჩემი ოჯახი შუშეულობის ქარვასლას დაემგზავსა, შეჯიბრი იმ ზომამდე განვითარდა, რომ ბოლოს მე და ჩემმა ცოლმა ერთმანეთს დავეტაკეთ და სანამ მაგრად არ მივბეგვე არ გავთხოვივარ. ასე მოიქცენ ბავშვებიც.

მეორე დღეს ყველანი მშვიდად ვალაგებდით ნატეხებს, მხოლოდ სალამოს კი გაზეთში ვკითხულობდით, თუ როგორ უნდა ჩატარებულიყო შეჯიბრება, მაგრამ გვიანლა იყო. გათავდა ეს ყველაფერი და რაღაც ჩემდა საუბედუროდ ეს თვითკრიტიკა არ გამოცხადდდა. — ეს კი საქმეა— ვთქვი მე. — არც სკანდალი, არც მტვრევა, მოვდგები და ვაკრიტიკებ ჩემს თავს, ვის რა საქმე აქვს? — ვფიქრობდი მე და ჩემს დღიურში, რომელშიაც ათი წელიწადია არაფერი ჩამიწერია, დაუფარავად ვწერდი. დავწერდი დღეს, წავიკითხავდი, ხვალ და ვაკრიტიკებდი ჩემს თავს. ვინ იცის, სანამდე გაგრძელდებოდა ეს მდგომარეობა, რომ ერთ შემთხვევას ყველაფერი არ დაეჭიწყებია. ერთ დილით, როცა კიდევ მეძინა, საშინელი სიმწვავე ვიგრძენი, გავახილე თვალები თუ არა, დავინახე: ჩემს ცოლს ის უკანასკნელი ათი ღერი ბალანი, რომელიც ჯერ კიდევ ამშვენებდა ჩემს გახრეკილ გოგრას, ხელში ეჭირა და მეკი საშინელ წვას ვგრძნობდი.

— შე ოჯახქორის გამოცემულო, თავიდან რომ ამგლეჯე მაგი ორი ღერი ბალანი, მქონდა შერჩენილი, თუ ასე საჭირო იყო შენთვის, სხვა ადგილიდან მაინც აგეცალა — უთხარი მე ნახევრად ტირილით. ამის თქმა და ცხვირ-პირში დაშენა და კვილი ერთი იყო. თან მცემდა და თან კიოდა. მე ეხტუნავდი ლოგინზე დაბმულ ლეკვივით და ვერაფერი მომეხერხებია. მეზობლებით აივსო ჩემი ბინა. შეიქმნა ჩოჩქოლი, „ცოლი გალახა“, „ცოლს სცემს“, „ქალს უდიერად ეპყრობა“ — ყვიროდნენ აქეთ - ქიდან.

— „თქვენ ოჯახდაქცეულებო, ბრმები ხომ არ ხართ,— ვიყვირე მე, —ადამიანი მკლავს და კიდევ მე მადანაშაულებთ? მომეხმარეთ; მომაცილეთ! — ვიძახდი, მაგრამ სანამ გული ამ ოჯერა ცემით, კაცმა არ მომეშველა.

— რა იყო, რა ამბავია, — დაიწყეს ბოლოს გამოკითხვა, ცნობისმოყვარეობით მეზობლებმა. ეს საკითხი მეც მაინტერესებდა და მეც ცოლს დაუწყე პირში ცქერა, რას იტყვის - მეთქინ.

— რავა რა იყო, თქვენი ჭირიმე, მაგი თურმე სხვა ქალებში დადის, გუშლამ შვიდი მანეთი დაუხარჯავს, გუშინ ვიღაცებთან უქეიფნია, — აღელვებით ამბობდა ჩემი ცოლი.

— როგორ, ვინ გითხრა, ტყვილი იქნება, — ეუბნებოდენ მეზობლები.

— რაო, ტყვილიო? ტყვილი კი არა, აგერ არ სწერია ამ დასაწვავში, —სთქვა მან და ჩემი დღიური ყველას დასანახად მაგიდაზე გააგდო. ეხლა კი მივხდი, რაშიდაც იყო საქმე. ერთმა ყმაწვილმა, რომელიც დიდ თანაგრძნობას უწევდა ჩემს აღელვებულ ცოლს და დასამშვიდებლად გულზე უსობდა ხელს, ყვილას გასაგონარად წაიკითხა ის ფურცელი, სადაც ეს ჩემი უბედურება იყო — ერა და მერმე მე მომიბრუნდა.

— ბიჭო, თუ შვებოდი, რაღას სწერდი, შე კაი კაცო. ამ სისულელეს, — მითხრა მან.

— მართლა სისულელეს ლაპარაკობ,— ეუთხარი მე.

ბიჭო, აბა, როგორ გინდა თვითკრიტიკა გაატარო, დღეს ხომ ამის ლოზუნგი.

მან გადაიხარხარა და იქვე ჩამოჯდა.

— აი, რას ნიშნავს უვიცობა! განა, თვითკრიტიკა შენი თავის გაკრიტიკებას ნიშნავს? — მითხრა და ამიხსნა თვითკრიტიკის მნიშვნელობა.

მეორე დღეს საერთო კრებაზე, თვითკრიტიკის გატარების მიზნით, ჩვენს გამგეს მოვცხე მაგრად, მართალია, ყველაფერი მართალი ვილაპარაკე, მაგრამ შედეგად მესამე დღეს შრომის ბირჟასთან გაჩერება მერგო.

— არა, აბა, რა ჯანდაბას ქვია ეს თვითკრიტიკა?, — ვფიქრობდი მე, —ჩემზე ვთქვი, მცემეს, სხვაზე ვამბობ გამომაგდეს; არა, აბა, რა ამოცანაა ის ისეთი ვერ ამოეხსნა. ამის ფიქრში, რომ ვიყავი, ერთ კავშირის წევრთა კრებას წავაწყდი, რომლის წევრიც ვიყავი მე. კრებაზე კავშირის თავმჯდომარე თვითკრიტიკის მნიშვნელობაზე აკეთებდა მოხსენებას. ისე ფართოდ გააშუქა, ისე ნათლად დაგვისაბუთა თვითკრიტიკის მნიშვნელობა, რომ სიხარულით ცას დავეწიე. გათავდა მოხსენება და გაიმართა კამათი. გამოვედი გაბედულად და ზოგი ისეთი რამეებიც ვთქვი, რომელიც ჩვენ კავშირის თავმჯდომარესაც შეეხებოდა: დაუწუნე ხაზი, მუშაობა და სხვა მრავალი. მან თითქოს სიამოვნებით მიიღო ეს ჩემი თვითკრიტიკა და ჩემი გვარიც ჩაიწერა უბის წიგნში. ჩემმა სიხარულმა უმაღლეს წერტილს მიაღწია.— მეშველეთ, ალბად, ხვალი-

დაგვიანებით გულმოსული



— შენ, რომ პარტწმენდის დროს არ დამზოგე, ახლა ნუ გაგიკვირდება, თუ ამ ქუჩის წმენდის დროს არც მე დაგზოგო!..

თანამედროვე სახლის პატრონი



აი, რა გავლენას ახდენს მდგმურებზე სახლის პატრონის ყოველი გამოჩენა!..

— „თვითკრიტიკის დარღვევის და პროფ - დემოკრატიის [illegible] ბლობისათვის ამა და ამ [illegible] გამგეობა დაშალეს“. — ეწერა მეორე გაზეთში.

— ბიჭოს, ეს რა ამბავია, — შევიძახე მე. მესამე დღეს მუშგლეხრინსა და პარტკომის წარმომადგენლებმა დამკითხეს, ყველაფერი ეა, თქმევინეს და წარმოიდგინეთ თქვენ, გამამართლეს და მითხრეს, რომ მე თვითკრიტიკა კარგად შემისწავლია, იმ ჩემს გამგესა და კავშირის თავმჯდომარესაც მაგარი პანღურა მიარტყეს. მე ვიდექი განზედ და ვიცინოდი, როცა იმათ საჯაროთ ასამართლებდნენ თვითკრიტიკის ჩახშობისათვის.

ეხლა კი ვიცი, რასაც ქვია თვითკრიტიკა, ძალიან ძვირად კი დამიჯდა, მაგრამ ისე კმაყოფილად ვგრძნობ თავს, რომ სუყველაფერი დამავიწყდა. თურმე თვითკრიტიკა ზევით ყოფილა და აქ მას ვერავინც ვერ იცნობდა. ალბად, ბევრი რამე კამპანიები მაქვს ასე ცუდად გაგებული და იმიტომაა, რომ ზოგი მათგანი მახინჯათ მიმაჩნია. ყოველ შემთხვევაში, მე არ ვარ დამნაშავე. ის, რაც ზევიდან წამოვა, უცვლელად რომ მოდიოდეს აქამდე, მაშინ ასეთი უბედურება რავა მოხვიდოდა.

ვ. ოგოლი.

— „თვითკრიტიკის დარღვევის“ — ეს ბოლო ამბავია, — ეს ბოლო ამბავია, — ეს ბოლო ამბავია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავა დევილუპე!

ვაი, ჩემი ცოდვით დეიწვას და დეიხრუკოს ის, ვინცხამ ეს ჩისტკა მეიგონა! ამ უშველებელ ჯარში რომ გამოგიყვანებენ და დაგაწყებინებენ აღსარებას, ნუ მოყვები მართალს, თუ ბიჭი ხარ– ქვეყანა შენ მოგჩერებია და კრიტიკას გიკეთებს: პარტიულ, უპარტიო, დიდი, პატარა, ქალი, კაცი, ყველე შენ გიკენთებს ეღზამენს! ვაი, ჩემს პატრონს უბედურს! რეიზა გევიხადე თავი საეგზამენიოთ, ვყოფილიყავი ჩემდა, რავა უპარტიო ხალხი პურს ვერა სჭამს თუ? უპარტიო რომ ვყოფილიყავი, ამ კრებებს მაინც ავცილდებოდი და ოჯახში შევიხედავდი ქე მაინც ხანდახან, მარა მიყვარდა დიდკაცობა და იმიზა შევიგდე ხლაფორთში თავი! მაინც და რომ დეკიდებდი გოჭის ფეხივით იმ ლიკერს და გევირჭობდი ღლიავში იმ პორთფელს, მართლა ქე ღირდა ფასად ჩემი დანახვა! ქალიშვილები თუ!... რავარც ბუზები, ისტე მესეოდა! თლათ პაჟარი ქონდა გაჩენილი ჩვენი უბნის ბარიშნებს! საცხა წევიდოდი, ყველგან თან დამდევდნენ. მდუღარე რომ გადაგესხა, ტიფლისკი პაჟარნი კამანდა რომ მოგეყვანა და ამ უშველებელი შლანგებით გეშხაპუნებინა წყალი, მაინც ვერ მეიცილებდი! ამიზა იყო, გასაჩისტათ რომ დამიძახეს, აგი მთელი ჯარი ბარიშნების თან გამომყვა ყველა კრებაზე! ჩავჯედი შუაში კი წამოჩიტებულ ყვიჩილივით, მევიჯინე გვერდში აგი ქალიშვილები და უცდი გამოძახებას.

„სევერიან ვაყაძეო“! — წამეიძახა ჩისტკის პრისიდატელმა და წამოვდექი ზეზე. დასცხეს ტაში ამ ქალიშვილებმა და სულ „ურას“ ძახილით გამაპრავაჟეს საორატორო კაფედრისაკენ! „აბა, მოყევი შენ ავტობიოგრაფიასო“ — მითხრა პრისიდატელმა. დამცეცხლა თავში, ამიწია სიცხის გრადუსმა და წამოვწითლდი სახეზე! თურმე მისთანა გამალამაზა ამ სიწითლემ, რომ თელათ გედეირიენ ჩემის ეშხით ქალიშვილები! იგრიალა ტაშმა და ერთ საათს უკრავდენ და ყვიროდენ აგი ბარიშნები! მისთანა დღეში ჩავარდა ჩემი მტერი, მე მაშინ იქანა დღეი დამადგა! კაცი თავს ვიწონებ ბარიშნებში, ბუზს არ ვიჯენ ზედ და მოდი ახლა და მოყევი რომე, მე ღარიბი ვარ, გლახაკი და არაფერი გამაჩნია! თუ ვსთქვი ღარიბი ვარ–თქვა, ხომ გამექცა აგი ბარიშნები, არა და სიმდიდრეს რომ გაიგებს ჩისტის კომისია, გადამაგდებს ნაგვის იაშჩიკში, არ უნდა ამას ლაპარაკი! რაღას ვიზამდი. ლიკერის და პორთფელის დაკარგვას, ისევლე ქალიშვილების დაკარგვა ვამჯობინე. ბარიშნებს, როცხა გინდა, იშოვი, მარა პარტ-ბილეთს კი ვერა. მოვყევი ისტევლე და მოვახსენე კომისიას, რომე ჩემზე ღარიბი კაცი არ დეიარება ქვეყანაზე–თქვა. თელათ გევიწყვიტე ყოლისფერი. არც სახლი, არც კარი, არც მიწა, არც წყალი ჩემს ბარობაზე არაა–თქვა. აზნაურიშვილობაც ქე მივახვილიფე და შუმი გლეხი გახლავართ–თქვა, მოვახსენე კომისიას. დამიშინეს ზარბაზნებივით აგი შეკითხვები და თელათ გამანიავეს კაცი! მაინც და ამდენი მტრები სად იყვენ აქამდე! იცოცხლე იგენს უპასუხე: ზოგს ტყვილი და ზოგს მართალი. ევიღე სიტყვა და ორ საათს ვილაპარაკე. ოუწიე და ოუწიე თანდათან ხმას, რომ ფექილივით გამეთავებია სიტყვა და გავლენა მომეხდინა ხალხზე. ვფიქრობდი, ჩემი რეჩი რომ გათავდება, დეიქცევა ტაშით აქაურობა–თქვა, მარა არ შეგჭამოს ჭირმა! ისტე შეხვდა ჩემ რეჩს აგი ხალხი, რავარც სამარეში ჩასადებ მიცვალებულს. გადმევედი, ჩავჯედი ამ ბარიშნებში, მარა ყველამ გვერდზე იბრუნა პირი! დავრჩი პირში ჩალაამოვლებული! რომელ ბარიშნასაც დაველაპარაკე, ყველამ ცხვირი ამიბზუა: „ღარიბი და ღატაკი კავალერი რათ გვინდაო!“ ვიფიქრე, აგი ქალიშვილები კი დავკარგე, მარა სამაგიეროდ ლიკერი და პორთფელი შევრჩება–თქვა. მარა აქაც ქე მოვტყუვდი! გამომიცხადეს: „სევერიან ვაყაძე: რავარც არა კომუნისტური ელემენტი, რავარც მოჭეიფე, რავარც არშიყი და კულაკი, გამორიცხულ იქნეს ჩვენი პარტიის რიგებიდან!“–ო. დამცხელა თავში და გევიარე ქვესკნელში, მარა რაღას ვიზამდი! დედა, რაფერ დევიღუპე და დევიფსე კაცი! არც პარტ-ბილეთი, აღარც ლიკერ - პორთფელი, არც სახელი და აღარც პატივი! აგი ბარიშნები სულ თელათ ჩამომცილდენ და ბოიკოტი გამომიცხადეს! წინეთ მზისუნახავი ქალიშვილები მეარშიყებოდენ და ერთი ვერსიდან მიგზავნიდენ ვაზდუშნი კოცნას და ახლა მზისუნახავი კი არა, ბრუციანი და კუზიანიც აღარ კადრულობს ჩემთან ლაპარაკს! ყველამ ამითვალწუნა, ყველამ ამიგდო, არა, კაცს აღარ უნდებვარ. დავყიალობ და დავფართხალობ ასტე თავწაჭრილ ქათამივით! დედა, რავა დამდევენ ქონიან ლაფატკაზე და გადამაგდეს სორნი იაშჩიკში! აფსუს ჩემი პარტ-ბილეთი, აფსუს ჩემი ლიკერი, პატივი, სახელი. ვაი, ჩისტკის კომისიავ, თქვენ დეიწვით და დეიხრუკეთ ჩემის ცოდვით, რავარც თქვენ მე გამაბრილადეთ და გამაპარტახეთ კაცი! ახლა აღარც მკვდრებში ვწერივარ და აღარც ცოცხლებში!

მშვიდობით: ლიკერ-პორთფელო,
ბილეთო პარტიისაო,
მშვიდობით, ბარიშნებოჯან,
ამრევნო ჩემის გზისაო.

ბოგდა.

გამოცდა პოლიტიკურ ეკონომიაში



— რა არის კლასი? ჩამოგვითვალეთ მისი დამახასიათებელი ნიშნები.

— კლასი არის სასწავლო ოთახი; მისი დამახასიათებელი ნიშნებია: პარტები, სამოსწავლო მაგიდა, დაფა ცარცი, მასწავლებლები და მოწაფეები!..

სიზმრის ახსნა

(ლანჩხუთისათვის)

სიზმარში თუ საჩუქარს ღებულობ, არ ვარგა: ეს ნიშნავს იმას, რომ ლანჩხუთის სადგურის მოლარე იაშვილს თქვენს კუთვნილ „ზდაჩზე“ რაც არ უნდა იძულება მიაყენოთ, მაინც არ დაგიბრუნებს.

ვარლამ პატარაია იცინოდეს, ცუდია: თუ ფული დაგირჩეს, მონადირეთა კავშირის კლუბს არ გაეკარეთ, თორე: ბამაში ჩაგითრევენ და სულიან - ხორცამდი გაგცლიან.

შალიკო ჭავჭანიძე ნახო სიზმარში, კარგია: აუცილებლათ გლეხკომის თავჯდომარე შალიკოს გლეხობის თავზე ჯდომისათვის ნახავთ „ტარტაროზი“-ს ფურცლებზე გაწერილს.

სიზმრით თუ ნახოთ როსტომი ქადაგობდეს, ცუდია: თეატრში წარმოდგენების ნახვას ვერ ელირსებით, ვინაიდან ეს ებრალიძე დადგმისათვის ოავს სულაც არ იწუხებს. თუ დაღგეს, ვარლამ ებრალიძის აურზაურის და ლანძღვა-გინების მეტს ვერაფერს გაიგონებთ.

მარტისა.

„დრამა“ ტყეში

ტყის მცველი — ტყის მჭრელს: ოლონდ კი ჩემი თოფი და ლივერი დამიბრუნე და ხე, რამდენიც გენებოს, იმდენი მოსჭარი...

სეზონის წინ

თეატრალური სეზონის დასაწყისი ახლოვდება. უკვე გამოჩნდენ აფიშები, რომლითაც ჩვეულებრივად ათასგვარ დაპირებებს გვაძლევენ.

— დაუჯერო, თუ არა? — ვიფიქრე მე, როცა სასეზონო აფიშას ვკითხულობდი, — ჩვეულებრივი იშკილი ხომ არ არის? აი ისეთი, როგორიც შარშან, შარშანწინ და საერთოდ ყოველთვის.

იმ მიზნით, რომ დავრწმუნებულიყავი იმ იმედებში, რომელთაც აფიშა იძლეოდა, ვარჩიე პირადათ მენახა თეატრის ხელმძღვანელნი.

პირველად ოპერაში შევრგავი თავი.

— თქვენ ბრძანდებით ოპერის დირექტორი ლილი ჯაფარიძე? — ვკითხე კაბინეტში მჯდომ ახალგაზრდა მოქალაქეს.

— დირექტორი მე ვარ! — მივიღე პასუხათ, — მაშ ვინ იქნება? ოლონდ მე ლელი მქვია და არა ლილი...

შევხედე, გავვოცდი. თურმე მართლა მამაკაცი ყოფილა. შარვალი აცვია... ულვაშებიც აქვს პატარა.

— აბ, ეს საძაგელი აფიშა!—ბოდიშით ვთქვი მე, — აფიშაზე მოთავსებულმა თქვენმა სურათმა შემიყვანა შეცდომაში... იქ ისე კეკლუცად იკრიჭებით, როგორც გაქექილი პრიმა ბალერინა... აფიშის ბრალია, ბოდიშს ვიხდი!

***

— მაშასადამე, თქვენ ამბობთ, რომ სეზონი ფრიად საინტერესო იქნება? — განმეორებით ჩავკითხე მე, რადგან დირექტორი უფრო თავის პირად ღირსებებზე მელაპარაკებოდა და ამის გამო ჩემთვის საინტერესო საგანზე ლაპარაკს გვერდი აუხვია.

— ძალიან საინტერესო! რომ მოეცათ საშუალება, კიდევ გავგეზარდა ბილეთების ფასები, უფრო საინტერესო იქნებოდა...

— ფასების აწევა მუშა-მაყურებელს დაეფრთხობს და მუშა - მოსამსახურეს საშუალება არ ექნება მოისმინოს ოპერა! — შევნიშნე მე. — თქვენ ისედაც ძალიან [illegible] გაქვთ!

— როგორ თუ მაღალი ფასები!— შემიტია დირექტორმა — განა, სამი და ოთხი მანეთი ძვირია? იცით თუ არა, რა ღირს ერთი კვერცხი? ცხრა კაპიკი! დადევით ყოველ დღე 45 კვერცხი და ყოველ დღეს შეგიძლიათ ოპერა მოისმინოთ!

— კვერცხს ქათამი დებს და არა კაცი! — ცოტა ფრთხილად შევნიშნე მე.

—სოციალისტურ სახელმწიფოში ყოველგვარი შრომა განაწილებული უნდა იქნეს... იცით თქვენ ეს, თუ არა? ეყოთ ქათმებს, რაც ძველმა რეჟიმმა სისხლი სწოვა მათ!

— ეგ ჩინებული აზრია! — დაუდასტურე მე.—ამას რომ მიემატებოდეს ცოტათი ახალი რევოლიუციონური ოპერები, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვა საოპერო თეატრებში იდგმება, აი, მშვენიერი ეს იქნებოდა-

— არ შეიძლება! — გადაჭრით სთქვა დირექტორმა, — მაშინ რალა უყოთ იმ ოპერებს, სადაც გრაფები, მეფეები და არისტორკრატები არიან გამოყვანილი? გადავაგდოთ? იცით თუ არა თქვენ, რომ მაყურებელი ოპერაში სწავლობს კარგ მანერებს და მიხვრა-მოხვრებს?! განა, მე ასეთი ვიყავი წინად, სანამ ოპერის დირექტორი გავხდებოდი? წინად დაჩლაჩული დავდიოდი, ახლა კი სულ ბალერინას ფიგურებით ვიარები... რევოლიუციონურმა ოპერებმა რა უნდა მოგცეთ თქვენ?

— თუ კვერცხის დადება ვერ შეეძელი, იმ შემთხვევაში როგორ მოვიქცე, რომ საშუალება მექნეს ვიარო ოპერაში? — დამშვიდობებისას ვკითხე მე.

— თუ კვერცხი ვერა, სხვა რამე უნდა დადვათ... — ამიხსნა დირექტორმა.

ეხლა საგონებელში ვარ... ბუნებას არ მოუცია ჩემთვის ის უნარი, რომელიც დეკალებს აქვთ. მაშასადამე? მაშასადამე, ოპერა ვერ მინახავს...

ქალბატონო ლილი... უკაცრავად, ბატონო ლელი, გვიჩვენეთ პირველად თქვენ ამისი მაგალითი!..

მუგუზალი.

ქუთაისი

კინო „რადიუმი“ 600 მანეთს გამობმია ფეხი და გაპარულა მისი ყოფილი გამგის, ვასო კეთილაძის ეკიბეში. გაიგო თუ არა ეს ამბავი პროკურატურამ, ერთ და იმავე დროს გაუგია ვასოს ცოლს იულიას, რომელიც აწარმოებს დიპლომატიურ მოლაპარაკებას პროკურატურასთან.

ბოროტი ენები ამბობენ, რომ იულია ლამაზი ქალია და მისი დიპლომატია უსათუოდ გაიმარჯვებსო.

ხლისტი.

ვინც ხრავს და გადახრეგს კი თავ-ვიდან იშორებს!

— ამბობენ: ჩვენს გამგეს გადახრაში სდებენ ბრალსო!..
— რას ამბობ? რა გადახრა, რის გადახრა? კაცმა ქვეყანა გადახრა: კისერს ვერ იბრუნებს, წელში დრეკა არ ეტყობა და კიდევ რაღა გადახრა უნდა შეეძლოს გამგეს?!.

ხონი

„ტარტაროზო“, მსურს მოგწერო
ამე — რუმე ქალაქ ხონის,
აიკითხე დაჩქარებით,
ქნებ იქნეს მოსაწონი.
ონში ვალნერს ვინ არ იცნობს,
ქიმია ის ნემეცი,
ავი მოაქვს დაბალ ხალხში,
როგორც მეფე, როგორც სპეცი.
ალეხს უყვირის, მუშტებს კუმშავს,
ით შეშვენის ძველ ოფიცერს,
ისე გაძლა გლეხთა ღლეტით,
ვერ იბრუნებს ეხლა კისერს.
ონი, ოცდა ექვს აგვისტოს
ასთან მიდის ქარხნის მუშა,
და, გასინჯვის მაგიერათ,
მან გინებით დაემუქრა.
არ გაგსინჯავ, იქნებ მოკვტე,
მოვისვენო შენი ყეფით,
თუ მიჩივლე, იცოდე რომ
ვერას მიზამ სუდიებით.
ეხლა ხონის აფთიაქზე
მსურს დავსწერო ცოტა რამე.
წამლისათვის თუ კი მიდი,
უნდა იჯდე დღე და ღამე,
თან შიმშილი შეგაწუხებს
და თან კაჭუს სინარნარე...
სანამ წამალს აიღებდეთ,
მიხვიდოდეთ დროზე სახლში,
მანამ თქვენი ავადმყოფი
გაფრინდება სადღაც ცაში.
ისლა ქარხნის მუშკოოპზე
ცოტა რამე მაქვს სათქმელი.
აქ ნოქარი მებუკეა,
ეს კოწია კაცი ძველი.
ისე კარგი მუშაკია,
ხოლოდა აქვს ეს მიზეზი:
საქონელსა აკლებს მუშებს,
ტარტაროზო, გაკარ დეზი!
ქარხნისავე სასადილოს
დასდებია ფერი შავი,
სიბინძურემ დაგვაჭლექა,
არვინა გვყავს გამკითხავი.
ბურის ქურდი ქარხანაში
არის კოწო ყუფარაძე,
შრომის დეზერტირი არის,
ვარს ვერ გვეტყვის ამის თქმაზე.
აწ მშვიდობით, „ტარტაროზო“,
გთხოვ რომ ერთი საქმე ქენი
მოიტანე დიდი თოკი,
ეს ბიჭები იმასქენი.

ქარხნელი.

ლენინის ქუჩა. № 26

საგულიხმო მითითება

ჯამაგირი ვის ეყოფა?
დრო წახდა და მოკვდა ქრთამი.
ჩემ ძველ ხელობას გასწავლი,
ნუ ხარ, ბიჭო, მუდამ ხამი:
სწრაფად გულზე შემომახტი,
არ დაკარგო ერთი წამი,
ეს ქათმები ჩამობოჭე,
რო გავავსო ხვალე ჯამი!..

პონდუქტორის წერილი სატრფოსადმი

იმ დღეს ვენაცვალე, რა დღესაც შენ გაგიცან პლათფორმაზე. მას აქეთია ჩემს გულს სულ დაგადუგი გააქვს პარავიზის დიშლებივით. დღე ერთია და შენი მოგონება ათასი. რა ცეცხლში ჩავარდე აღარ ვიცი უშენოთ, ჩემო პელაგია, როცა მატარებელში ვიმყოფები, ისე მიტაცემს შენზე ფიქრი, რომ სულ მავიწყდება ბილეთების გასინჯვა და ხანდახან ვაგონი უბილეთო მგზავრებით მევსება, გევედრები, შენ შემოგევლე, დამთანხმდი ცოლობაზე. შენახვით, მოგიკვდეს პართენა ყლაპაძე, ისე შეგინახო, რომ ჩიტის რძე არ გაკლდეს, მასთან შენი მშობლების პატივისცემაც ჩემ კისერზე იყოს, სადაც კი მეისურვებენ, იქ წევიყვან უბლეთოდ. თუმცა ახლა ცოტა არ იყოს ძნელია უბილეთოს წაყვანა, მარა ნიჩავო: თუ სხვაგან ვერსად მოვახერხე, სკამეიკის ქვეშ მაინც დავმალავ და ისე ჩავიყვან ადგილზე. იმედია არ დაამუხრუჭებ ჩემ გულს კაზანცევის ტორმუზივით და გამომყობი ცოლად. მომზადებული, იცოცხლე, მე ვარ: ამ ზამთრისთვის, ბარე ორი მეტრა თხემლის შეშა ქე გამევიტანე; ისე პამიდორი, კარტოფილი და მჭადის ფქვილი მთელ ზამთარს გვეყოფა. მეტი რა გინდა? ბამბაზია თუ მეიტანა ჩვენმა ზ.ა.კ.ტ.ეპომ, იმასაც ქე გამევიტან და შეიკერე თბილი კაბა. მასთან ზაიავლენიე ქე მაქვს მიცემული უჯრედში და თუ შემეწია ლმერთი და მიმიღეს პარტიაში, მაშინ, იცოცხლე, ხელათ ვიგდო ხელში ოხერობა; ისე ეხლა კი შტატნი კონდუქტორათ ვითვლები. საცოლეები, იცოცხლე, იმდენი შენც და მეც, მე მეძლეოდეს, მარა ყველას უარი ვშლიე. თუმცა, რაღა დაგიმალო და ზოგ-ზოგს გვარიანი მზითებიც ქე ქონდა, მარა შესახედავათ ნიპრიწ შენთან! შენისანა აქლემივით წამოსადექი არც ერთი არ იყვენ, ჯვარი დაგწერა სუყველამ, ჩემო ნესტარ დარეჯანო. ამიტომაცაა, ასე რომ აადუღა ჩემი გული პარავოზის ქვაბის წყალივით შენმა ეშხმა. არ გეივლო გუნებაში იგი, თითქო ზაფხულობით ამ ცხელ ტფილისში გამყოფო, მოგკვდეს მაშინ პართენა, რომ რავაც დადგეს მაისი, იმ წამსვე არ გაგზავნოს სოფელში, შენ მშობლებთან და ეკენისთვის დამლე ვამდე იქ არ გამყოფოს გრილათ. მეტი რა მოგწერო ტკივინ დაბნეულმა, აღარ ვიცი, ამიტომ ვათავებ წერას და უკანასკნელად გაფიცებ: გაგიწყდეს სახში რაც გუყავდეს ოთხ-ფეხი და ორ-ფეხი, თუ ამ წერილზე იმისანა წერილი არ მომწერო, რომელიც ჩემ გულს მოალბობს და დამიწყნარებს ძარღვებს. ახლა მშვიდობით, ჩემო მზეთუნახავო!

გწერს შენგან კაი პასუხის მომლოდინე შტატნი კონდუქტორი,
პართენა ყლაპაძე.

ვირილე საფირჩხიელი.

გამოწვევა

სოფელ გორა-ბერეჟოულს.
ავად ვერვინ მოიხსენებს,
ხალხი კულტურულად საქმობს,
რითაც მტერი ვერ ისვენებს.
ძველი დიდი ეკლესია,
რომ სწირავდა ნესტორ ღვდელი,
სამკითხველოდ გააკეთეს
და სიკეთეს მისგან ველი.
ხალხი ამით დაიღალა
და სიცილი ეჭირვება,
უნდა ნახოთ, ამის შემდეგ,
პოლიკარპეს გაჭირვება.
ტაბლა იმას დაელევა,
არ ექნება არც საკურთხი,
შუქია ხორებს მშრომელ ხალხმა
მიაყარა ქვა და ფურთხი.
და ამისთვის „ტარტაროზი“,
შრომის შემდეგ დაღლილებმა
მხიარულად დაიძინოს.
ვუწერ „მუშას“ მე სამი თვით,
„ტარტაროზი“-ს დამატებით,
თან კი ვეტყვი: „შრომის გმირნო,
იკითხეთ და მით დატკბებით!“
თანაც ვიწვევ მე „სორტელსა“,
„წაველა“-ს და „შავარდენ“-სა,
ვინც ამისთვის შემომწყრება,
თავით ქვაზე დავარდესა.
ჩემო „ტალი“, „ივანიკა“
და შენც გიწვევ „შარიანო“,
ცივ წყალს გასმევთ, თუ ამისთვის
გაჯავრდებით ძალიანო!..

ლისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანზე აგდებული სიტყვა

— როგორ ვამეჩვევით დამეძგერე, შე უზრდელო შენა?..

— „უზრდელი" შენა ხარ, რომ წელამდიც ველარ მწვდები!..

მოიხრის ქედს

(ზოგრმაზრა, ხრეითი)

„ტარტაროზ", ჭირიმე, გვისმინე ვედრება;
ჩვენს თემში, ხრეითში მობრძანდი, მო!..
ამბავი, მართალი და გასაკვირალი
მინდა რომ გიამბო და მოგითხრო.
ალმასკომს თემისას, ყავს ერთი მდივანი,
არ გვგონდა ასეთი, გვიშოვნე სხვა,
ყოველთვის კრებაზე მის მოქმედებაზე
პობოქრობს ხალხი და ღელავს, ვით ზღვა.
ძველ დროში რომ იყო უფლება მოსილი.
ამ ყმაწვილს გონია, რომ ახლაცა
ეოდება ისევე ხელუხლებელია:
ისია ძირს მიწა და მაღლა ცა.
დარაჯსა პუნქტისას ის კერძო საქმეზე
უბრძანებს, აგზავნის, ეს კიდევ რა,
ბშირია შემთხვევა: სასყიდელ გარეშე
აგზავნის სათხნათ და კიდევ სხვა.
ვასილ ამბროლავ ყმათ არის ქცეული,
ეწყევლის გაჩენას, ემდურის ბედს.
დაწყნარდი, ვასიკო, სერგო ჯაფარიძე
ბვალ შენთან მოვა და მოიხრის ქედს!

„ტაბშალლენ".

ექიმბაშის სიმღერა

(ს. ახალშენი, ხიდისთავის თემი)

ოფელ ახალშენის მარცხნივ — გასათავმ
ცხოვრობს გლეხის ქალი, თებრო ექიმბაში,
ეატყუა ეგი, ხშირად ასე მღერის:
„რომ წამლობა მუნისა და ბღერის.
ექიმბაში ვკურნავ: ხუნაგს ძიგძიგს, შაკიკს.
ფულს ვლებულობ მრავალს, არვის ვარჩენ ჯაპიკს,
ქალი. „ბავკერკეტდი", ვერას მაკლებს მტრები,
მახარებს, მაფხიზლებს ულევი მუშტრები.
არ მასვენებს ეკა, არ მასვენებს ნიკო,
გუშინ ორივე ჩემთან წამლებისათვის იყო.
ყველგან გამაქვს თავი „მორიკული" ენით,
სნეულთ სანახავად მე დავდივარ ცხენით.
გული მაშინ ტოკავს, მაშინ შვებით ვმღერი,
როცა ემართებათ გეჯგეჯა და ბღერი"!..

გიფაჩალა.

ტარტაროზს

(ჰიათურა)

ელნათურის სხივებით აფერადდა სოფლები,
წინათ ქალაქის ქუჩებს ანათებდენ ფარნებით,
ნადირობდენ დამბაჩით, მეძებრებით, თოფებით,
ჩვენ კი ეხლა ვნადირობთ, გალესილი კალმებით.
ხან ერთს და ხან მეორეს პორციობით გიგზავნი,
ჩვენ, ხომ ვიცით, რაც არის ჩვენი ბრძოლის მიზანი,
პარტწმენდის კომისია რომ მოგვადგა კარზედა,
ჰო! ბევრნი დააცურეს ქონიან ნიჩაბზედა
ალმასკომმა გამოსცა ფიცხელი დეკრეტია:
— „სამიკიტნოები აქ თუმც დასაკეტია,
მაგრამ ჩვენ ნუ ჩავიდენთ საქმეს გასაკვირალსა
—„ღვინის ყიდვა ავკრძალოთ შაბათსა და კვირასა".
და მართლაც ეს დეკრეტი დეკრეტათ აღიარეს,
თუმც ქუჩებში ლოთები მაინც დადის, ღრიალებს;
შაბათი და კვირა დღე ზეიმია, ლოთების,
მიკიტნებს უყვართ ჩუმად გაცოცება ბოთლების...

შაკო.

ველარ წახვალ გაღმა, ფული თუ არ გაქვს სახლში

(ბათომი)

ყველაზე კარგია ბათომში ბულვარი,
ზღვის პირას მდებარე, სწორე და ვაკე
ხშირად სეირნობს ძროხების ჯარი,
ღორებიც დადიან ბერწი თუ მაკე...
ორშაბათიდან კვირა დილამდე,
ყველა შიგ დადის ბრუნდი, მართალი
და გორაობენ იქვე სილაზე,
არ მომატყუებს ამაში თვალი.
მაშინ, როდესაც თენდება კვირა,
მუშებიც ცოლშვილით მიდიან ბალისკენ,
აქ შესასვლელად სჭირიათ ქირა,
უმისოთ უშვებენ უკანვე, სახლისკენ.
კარებში დგანან ბილეთით ხელში,
აბაზი გჭირიათ შიგ შესასვლელად,
თუ ხუთი გახლავს ოჯახის წევრი,
ვეჭვობ, შეიყვან მათ ბაღში ძნელად...
ასე ამრიგად კვირა დღე უნდა
გაატარო სიცხიან სახლში,
არავინ დარდობს, დაიწვა თუნდა,
და გაეხვიო შენ ცეცხლის ალში...
ფულები, ალბად, შეყვარებიათ
გაუგონია ვისაც ეს წესი,
და ამისათვის, კარები ღიათ
რომ აღარ იყოს, არს უკეთესი.
თუ ბილეთს ყიდით, ყიდეთ ორშაბათს,
აიღეთ გსურდეთ თქვენ ფეხის ქირა,
გითმობთ სამშაბათს, ოთხს და ხუთშაბათ.
მაგრამ დაგვითმეთ ჩვენც, მუშებს, კვირა.
მგონია, ამას სხვაც დამიმოწმებს,
რომ უკეთესი იქნება ასე,
ვიცი, ამ წერილს ის გაიოცებს,
ვისაც რომ, ჯიბე მუდამ აქვს სავსე.

ჰ. ბლაეუნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფ. გორისა

(შორ. მაზრა)

ოფელ გორისას
კინო ეწვია.
გლეხებიც ლხენი
ცას დაეწია.
ხალხი დაესწრო
მრავალის-მრავალ
ვინც კი რომ იყო
ფეხზე მავალი.
„იბრაჰიმ გოდერძ"
კინო-სურათი,
არ გასულიყო
წუთი სულ-ათი,
გაფუჭდა, კინო
მთლად მოიშალა.
და შერჩა ხალხსაც
წყურვილი მშრალად
თუმც ამ შემთხვევი
„მექანიკს" შერცხვა,
მაგრამ ლამაზად
სიტყვა შეეერცხლა.
თუმც დრო დარჩენის
არ იყო მისთვის,
დაესწრე ხალხს უხმო
მეორე დღისთვის.
მის მერე ხალხმა
ბევრი უძახა:
„სად ხარ, მექანიკ,
ჩემო სულიკო"?
ბევრიც ეხვეწა,
ბევრმაც უძრახა,
თურმე პოლიტგანს
გაპარულიყო!
შორაპნის მაზრას
მივართვათ არზა,,
იწყენს ნურავინ
ამ სამდურავსა,
რადგანაც ვიცით
სრული სიმტკიც
ეს არი სწორი
და არა ჭორი.
თუ სინამდვილე
ოდესმე მითქვამს,
ესმოდეს ესეც
შორ-მაზრ-პოლიტგანს.
ულირს „მექანიკს"
ნუ ანდობს კინოს,
ნუ გავხდით საქმეს
ჩვენ საყიყინოდ.
კინოს სოფელში
შეეკრა, დიადი,
იყოს ფრიადზე
უფრო ფრიადი...
მაგრამ აჯობებს
ვეკითხოთ ახლა,
სად არის იმ დღის
ნარბევი თანხა?
თუ რომ „მექანიკს"
არ წაუღია,
დარჩა „წერ-კუთხის"
გამგე: დონაძეს,
მოხმარდეს „კუთხეს"
და „იყოს ლიაც"
ნურც ფულის შეეშის
მოვა „ნდომაზე".

გუტო

აფთიაქის ქიმიზაცია

ბურჯაანის აფთიაქში,
ხედავთ, არის საქმე რაში:
წამლის მზადების დროს უნდა
ცხვირი გედოთ თქვენ ნილაბში!...

ქუთაისიდან

ტარტაროზ, გული მიკვნესის,
გული სწუხს, გული ლონდება,
რა აფთიაქი საბჭოთა
მეორე მომაგონდება.
ავადმყოფთ გროვა დამდგარა,
გაისმის კრულვა-გოდება,
წამალს ურიგოდ ლებულობს
მხოლოდ „ბრწყინვალე" წოდება.
სამ დღე-და ღამეს გეჭიროს
ხელში რეცეპტი ნაწერი,
და ვერ ელირსო მიიღო
ქვითარი ამონაწერი.
ხან იკარგება რეცეპტი,
ხან ძალზე აგვიანდება,
ავადმყოფს სიცხე აწუხებს,
ტვინს ულლინს შანთი ანთება.
თანაშრომლებო! წესრიგი ,
წესრიგი, როგორც წესია,
თორემ ყველა მას მოიმკის,
ვისაც რა დაუთესია!..
აკიპულ „გოჭეურა"-ზე
კარად სდგას აგურხანები,
ბავშვები დღე-ღამ მუშაობს
ბევრია ამისთანები.
ახალთაობა ჯანს იტეხს,
ადკომო, თვალი გეჭიროს,
რომ ექსპლოატატორთათვის
მათრახი გადაგეჭიროს.
შუალი აქ „გოჭეურა"-ზე
შარჭანიურზე ძვირია.
ქალაქო! წლები გავიდენ
და უიმედოთ ვსტირია.
ხახა გაგვიშრა სუყველას,
ვერ დავიბანეთ პირია.
ქალაქო! კიდევ ქალაქო!
სად არის დანაპირია?!?
რომ დაღამდება, გორაზე,
როგორც ლუკუმი, ბნელია,
უმთვარო თუა მუნ ღამე,
გავლაა ნეტად ძნელია.
ელნათი ნაშინ ინთება,
მხოლოდ ოდესაც მთვარეა,
უალმასკომოდ სიცოცხლე
„გოჭეურა"-ზე მწარეა.
საკვირველია, ტარტაროზ!
აქ მუშათა უბანია,
კულტ-მუშაობას ქარხნის წი
ხელები დაუბანია.
ქოხ-სამკითხველო არ არის,
არ არის ჟურნალ-გაზეთი,
მუშურ უბანში ცხოვრება
თუ შეიძლება ასეთი?!.
სამაგიეროდ, ღვინის სმა
მუშებში მეტად ხშირია
აქ კეტობია, გინება,
არ არის გასაკვირია.
ქალაქო! კიდევ ქალაქო!
უბნისკენ შენი თვალები,
თორემ ცოდვებით დავმძიმდი
თმენამ ჩაგვჭიდა ბრჭყალები-..

„შიხლინსკი ბოგმბ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯოჯოხეთის კუთხე

ანაგის საექიმო პუნქტში, ავადმყოფთ აყალ-მაყალი რომ ისმის ყოველ წუთში...

სახლი ნაქები აქვს ანაგის საექიმო პუნქტს: თითქმის ახალი, ორ სართულიანი, სრული და კოხტა. მაგრამ მარტო სახლითა და მისი გარეგანი მორთულობით ვინ დაიფასებს საექიმო პუნქტს? თავი და თავი ექიმი და ექიმობა არის. აი, ამ მხრით კი ვერ მოიწონებს თავს დიდათ ანაგის პუნქტი. პუნქტის გამგე, ექიმი ირაკლი დარჩიაშვილი (დაურჩა თავის ავათმყოფებს იმისი თავი!) ზის თავის კაბინეტში, გნარავს თამბაქოს და რუსები რომ იტყვიან, „ვ უს სებე ნე დუეტ". ამავე დროს კი „დუეტს", ხშირად „ტრიო"-სა და „კვარტეტს" მართავენ ოვითონ ავათმყოფები. მაგრამ არ გეგონოთ მღერითა და მუსიკით, ართობდენ, მიდამოს, არამედ, ერთმანეთის ყვრიმალსა ცემით, ჩხუბითა და აყალმაყალით. ექიმის კაბინეტი კი ამ დროს უდარდელად იბოლება თამბაქოს მაყალით...

აი, სად არის ამ დროს ტარტაროზი თავის ჩანგალით, ცოცხით და ქონ-მოსმული ნიჩაფით, რათა ასეთი ექიმები ერთი მოსმით მოაშორონ თავიდან, მათი იქ ყოფნით დამძიმებულს პუნქტებს.

ეხ, მახლას!... რა ეშველება ზოგ ანაგებს, სადაც საექიმო პუნქტს ირაკლისთანა ექიმი განაგებს!...

თქვენ არ გეგონოთ ბანძა, რომ სდგას რადიოს ანძა.

მართალია, „ბანძა დიდი სოფელია, იგი საქეგრეკოში არსებობს, აქ მოყვანილი ამბავიც სამეგრელოში ხდება, მაგრამ მას მაინც ადგილი აქვს არა ბანძაში, არამედ ზუგდიდში, უკეთ ზუგდიდის სახერხ ქარხანაში.

მოგეხსენებათ, რომ ყოველ ქარხანას უწინარეს ყოველისა ახასიათებს მუშები. ქარხანა უმუშებოთ წარმოუდგენელია.

ისიც ცხადია, რომ სადაც მუშათა ასეთი თუ ისეთი კონტინგენტი არსებობს ამ კულტურული რევოლიუციის ხანაში, იქ უეჭველად კულტკომისიაც არსებობს, თავისი „აქტივით" თუ „პასივით" და მოქმედების ყველა ატრიბუტებით, დაწყებული წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტით და გათავებული კინოთი და რადიოთი.

ზუგდიდის სახერხ ქარხანაშიც არსებობს კულტკომისია და არა მარტო არსებობს, მოქმედებაც აქვს გაჩაღებული. ამ კომისიამ ამ რამდენიმე თვის წინად ამოიჩემა: რაც არ უნდა გახდეს, ჩვენი ქარხნის მუშებს უსაოუოდ რადიო უნდა გავუხსნათ. ევროპის ყველა დიდი ქალაქების ოპერები აქ, ზუგდიდში უნდა მოვასმენიოთო.

როგორც ხედავთ, განზრახვა ფრიად კეთილი და სიმპატიურია, რომ დაწყებული კეთილ გაზრახვას ზოგჯერ გზა ჯოჯოხეთისაკენ არ ედოს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ეტრ. ზუგდიდის სახერხი ქარხნის კულტკომისიის კეთილი განზრახვა დაიკავებდა პირს ჯოჯოხეთისაკენ და, მაშასადამე, იგი ვეღარც სატარტაროზო ამბათ გადაიქცეოდა.

მაგრამ მადლი მახარობელს, რომ აღნიშნულ კულტკომისიის კეთილი განზრახვა ქარხნის ეზოში რადიოსთვის მხოლოდ მაღალი ანძის დასობით გათავდა. ეს თვითონ რადიო კი თვალით არავის უნახავს.

და აღნიშნული კომისიის აღნიშნული განზრახვის მოსაგონებლად დღეს ქარხნის ეზოში ცერად დასობილი ანძა თუ რასმე იტყვის და იღაღადებს, თორემ სხვებს ყველას გადაავიწყდა ამ ტრაგიკული ამბის ისეთი კომიკური დასაწყისი.

იგი, მგონი, თვით კულტკომისიამაც მისცა დავიწყებას და ამ რიგათ ზურგში მტრული მახვილი ჩასცა სამაზრო პოლიტგანის კულტმოდვაწეობის ხუთწლიან გეგმას.

თუ ხარ ცენტრის რწმუნებული, სძგერს კატოსთვის თქვენი გული.

ეს ამბავი მოხდა კახეთის ერთ-ერთ სოფელში.

მკითხველი, ვიცი, შვებით ამოისუნთქებს კახეთის ხსენებაზე, რადგან „ამბავი" ეხება ისეთ კუთხეს, სადაც, საბედნიეროდ, ატმოსფერა ამ ჟამად უკვე გაჯანსაღებულად უნდა ჩაითვალოს.

სოფელს ეწვია ცენტრის წარმომადგენელი: „საჭიროა პარტიის თემკომის პ.გ. მდივნის არჩევა". მაგრამ ქალთა წინ წამოწევასაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ქალები უნდა ჩაეგებათ მუშაობაში მე მოვითხოვ: არჩეულ იქნას ამხ. კატო.

ამხ. კატო არჩეულ იქნა.

მოდის საბჭოთა არჩევნები. ცენტრიდან ისევ ის პ. მ. ამხანაგი მობრძანდება წარმომადგენლად და არჩევნების ჩამტარებლად. ყველაფერი რიგზე მიდის. მოახლოვდა ახლად არჩეულ საბჭოს თავმჯდომარის არჩევაც.

—საჭიროა და სხვ. — ამბობს წარმომადგენელი. მე ვასახელებ ამხ. კატოს.

— იყვეს კატო.

კატო არჩეულ იქნა.

იწყება კოოპერატივის რწმუნებულთა კრება. ანგარიშები. სამოქმედო გეგმა. არჩევნები. ხელმძღვანელად ისევ იგივე პასუხისმგ. ამხანაგი ცენტრიდან. ისევ:

— საჭიროა და სხვ. — ისმის პ.მ. ამხანაგის პირით.

აქაც ისევ ამხ. კატოს გაუღიმა ბედმა პ.მ. ამხანაგ ცენტრის წარმომადგენელის ტუჩებით და კოოპერაციის ხელმძღვანელადაც არჩეულ იქნა ამხ. კატო.

საწყალი კატო! სამი ქალის მაგიერობა ვერ გასწია და...

შედეგი უკვე ყველას მოეხსენება. კახეთის პარტიულ ხელმძღვანელობის შესახებ ამ რამდენიმე ხნის წინად გამოქვეყნებულ ამბების სახით.

სადაც ქათამი ხშირია, იმ ადგილს კვერცხი ძვირია

ეს ხალხური ანდაზა იმდენად ქათმებს არ შეეხება, რამდენადაც ადამიანებს. მოქმედ ადამიანთა სიმრავლე ზოგჯერ პროპორციონალურად წინააღმდეგია ხოლმე ნამოქმედარის ჯამისა.

ეს მდგომარეობა სავსებით გამართლებულია აღმშენებელთა კავშირის საზაფხულო კლუბში. გამართლება კი ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ, როგორც გაუმართლებელი მდგომარეობა.

აღნიშნულ კლუბში ყველა გამგებელი და პასუხისმგებელია. ტერტეროვი, ოგანეზოვი, რომანოზი, კონტროლიორი თუ თანამშრომელი ქალიშვილები, ყველა ხელმძღვანელისა და პასუხისმგებელის როლში გამოდის, მხოლოდ საქმე და წესრიგი ამის გამო არა თუ არა სდგას თავის დონეზე, არამედ ყველაფერი მოძრაობს და ჯარასავით ტრაიალებს უმიზნოთ და უწესრიგოთ.

სწორედ ამაზე ითქმის: „ასი კაცი კეცსა სდგამდა, ვაი უკაცობასა"-ო.

კულაშელი მელინეიკე

— თუ ღმერთი გწამთ, ერთი კარგათ მიიწ-მოიწიეთ, ორი-სამი პასაჟირის ადგილი კიდევ არის მაგ ჩემ ლენეიკაზე, მე და ჩემმა ღმერთმა!..

მჯერმეტყველების ძალა

სასამართლოს დარბაზი ხალხით სავსეა. ასამართლებენ შუა ხნის მამაკაცს, რომლის სახეზე ადვილად წაიკითხავთ, რომ ეკუთვნის იმ წრის ადამიანებს, რომელნიც არაფრით დაგზოგავენ, თუ მათთვის ხელსაყრელ მდგომარეობაში ხელთ ჩაგიგდეს.

დაბალი კისერი განიერ მხრებშია ჩასვეებული. სახე ქონით ალაპლაპებული. გაციებული თვალები უაზროთ უყურებენ დარბაზში მყოფთ.

— სცნობთ თუ არა თავს დამნაშავეთ? — ეკითხება მოსამართლე.

დამნაშავე სრულიად გულგრილად და დამშვიდებით ამბობს:

— ვცნობ.

პროკურორშა დაახასიათა დამნაშავე, როგორც მავნე პიროვნება საზოგადოებისთვის და გაუსწორებელი ავაზაკი.

ბრალდებულის სიტყვას არც თუ ისე აუღელვებია დამსწრენი. მოისმინეს მისი საქმიანი განმარტება და ყველასათვის ნათელი გახდა, თუ რა მავნე ხორცმეტი იყო ის, ვინც საბრალდებლო სკამზე იჯდა და ასე გულმშვიდათ ისმენდა, თუ როგორ აშკარავებდენ მის საძაგელ ბუნებას.

— ახ, რა საზიზღარი პიროვნებაა! — აღშფოთებით მომმართა ჩემს გვერდით მჯდომმა მსუქანმა ქალმა, — ასეთ ადამიანებს არცა აქვთ უფლება ცხოვრონ ჩვენს შორის. შეხედეთ, რა ავაზაკის სახე აქვს!

— ან დახვრეტა, ან ათი წლის ციხე- ერთი და ერთი არ აშორდება!— რიხით სთქვა ქალის გვერდით მჯდომმა გრძელ ულვაშებიან მოქალაქემ.

— არც ერთი და არც მეორე! — ჩაერია საუბარში მესამე მოქალაქე.— ხუთი წლით დაპატიმრება — მეტი არაფერი!

— რატომ გგონიათ? ხომ გაიგონეთ, რა საშიშ პიროვნებათ დასახა პროკურორმა? განა, თითონ დამნაშავემ არ აღიარა დანაშაული? — გაისმა აქეთ-იქიდან.

— ხუთი წელიწადი, მორჩა და გათავდა! — გაიმეორა მესამე მოქალაქემ, — მის დანაშაულს კანონი ასე სჯის!

პროკურორის შემდეგ ილაპარაკა დამცველმა.

დამცველმა გაისწორა სათვალე, გადაისვა ცხვირსახოცი შუბლზე, დადგა ჰამლეტის პოზაში და რამოდენიმე წუთს მუნჯათ უცქერდა დარბაზს.

დარბაზში მყოფნი სულგანაბული იყვენ.

დამცველმა თავიდანვე მაღალი ტონით დაიწყო ლაპარაკი და რამოდენიმე წინადადების შემდეგ ისე გაჰკიოდა, როგორც დრამატიული ტენორი:

— არა და არა, ის ავაზაკი არ არის! რა ვუყოთ, რომ მან ჩაიდინა ავი საქმე? განა, ჩვენი მოქმედება ყოველთვის ემორჩილება ჩვენს აზრსა და ბუნების მიდრეკილებას? ვინ არის თქვენს შორის ისეთი უბიწო, რომ თამამათ შესძლოს ესროლოს მას ტალახი? შეხედეთ მის სახეს... განა, ამ ღვთაებრივ სახის პატრონს შეეძლო ჩაედინა რაიმე ბოროტება? განა, ამ უმანკო თვალების...

ჩემს გვერდით მჯდომ ქალის ლოყაზე ცრემლები შევნიშნე. ქალი მომიბრუნდა და გულაყუჩებით მითხრა:

— შეხედეთ, შეხედეთ, მართლაც როგორ ქრისტესა ჰგავს... არა, ის ვერ ჩაიდენდა ბოროტებას!..

— გაამართლებენ, აუცილებლად გაამართლებენ! — დარწმუნებით ამბობდა გრძელ ულვაშებიანი მოქალაქე.

— ხუთი წლის ციხე! — დაჟინებით ირწმუნებოდა მესამე მოქალაქე.

დამცველმა კიდევ დიდხანს ილაპარაკა.

მის გამგონეს შეეძლო ასე ეფიქრა: ბოროტი და კაციჭამია ის კი არ არის, ვინც ეხლა საბრალდებულო სკამზე ზის, არამედ ბოროტები და კაციჭამიები თვით მოსამართლენია, რადგან ტყუილ - უბრალოდ სტანჯავენ უდანაშაულო ადამიანს.

როცა დამცველმა უკანასკნელი სიტყვები წამოიძახა, დარბაზში ორი ქალის ქვითინიც გაისმა.

— გაამართლებენ! ეხლავე გამოუშვებენ — ამბობდა ჩემს გვერდით მჯდომი ქალი, რომელიც ეხლა თითქმის შეყვარებულიც იყო თვალებგამოშტერებულ ავაზაკზე.

— ხუთი წლის ციხე ამას ვერ ასცდება! — დაბეჯითებით ამბობდა მესამე მოქალაქე — კანონი ამას მოითხოვს!

სასამართლო სათათბიროდ გავიდა. განაჩენი ასეთი იყო: ხუთი წლით დაპატიმრება.

— მე ეს წინდაწინვე ვიცოდი! — ამბობდა ვექილი, — კანონი ასე მოითხოვს ამგვარ დამნაშავის დასჯას!

— მაშ, რაღათ დასახეთ ის კაცი მამა აბრაამის ბატკნათ?

— როგორ თუ რათ? — გაკვირვებით გამოიხედა დამცველმა — ოცი წელიწადია ასე ვლაპარაკობ და ეხლა მოვიშალო ჩვეულება?

ძიკი.

ამაღლების თემის (გურია) ყოფილი გლეხკომის გამგეობის წევრების სიმღერა

დაიწვა ჩვენი გლეხკომი,
დავიღუპეთ კაცი.
სარდიონის გამომცხვარ მჭადს
ჩვენ ვეღარ ვსჭამთ აწი.
სანამ იყო, სულ ვწველავდით,
ხელთ გვეჭირა თაბი.
შემწვარის და მოხარშულის,
არც ვიცოდით ფასი.
ცოლ-შვილს იმით ვინახავდით,
მარჯვეთ გვქონდა ხელი,
ჩვენ ვსჭრიდით და ჩვენ ვკერავ-
დით,

ბევრიც იყო ყველი.
ზოგი ჩუმათ, ზოგი ცხადათ
ვთალეთ, ვთალეთ ბევრი,
მაგრამ... ღრინსაც ვერ გვეტყოდა
ჩვენ გლეხკომის წევრი.
ეხლა? ხომ კი დავიღუპეთ?
და არვინც გიყავს მხსნელი:
მოგვიკვდა ძროხა — წაბლია,
ეაჰქრა ლხინი ჩვენი.
პასუხისგებაშიც მიგიყვან,
ციხე გვახრჩობს ბნელი,
ჩვენ დავსწვით ის, თუ სხვამ დასწ-
ვა,
არვინ არის მთქმელი...

ა. ოროკელი.

ცნობების მოჯება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხადმე. უსინდისოს. თქვენი წერის ენერგიისა და სტილის გამოცვლის იმედი, სჩანს, აღარ არის, მაგრამ ფსევდონიმი უსათუოდ გამოიცვალეთ. ამას მაინც რაღა თავი სტკივა?!.

ზომლეთში (გურია) ამ—გო—ძე—ს. თუ ზომლეთის წისქვილშიც იგივე ამბები ხდება, რაც საჯავახოს წისქვილში, სამწუხაროა და ადგილობრივ ორგანიზაციებისთვის საყურადღებო. მიხეილის შესახებ კი, რომელიც სუფსაში ლაღუმს ისვრის, უფრო ვრცელი ცნობები არის საჭირო, ვიდრე თქვენ აქ იძლევით.

ერკეთში (გურია) კიკიროზას. თუ ერკეთის აბანო მოუწესრიგებელია, აღმასკომი ამას ყურადღებას არ აქცევს, ხოლო კოწია შაქარიშვილი ხალხს ორ-ორ შაურს მაინც ახდევინებს მოაბანოე ხალხს, საჭიროა თითონ მოაბანოებმა მიიღონ საწინააღმდეგო ზომები: მაგალითად, ნულარ ისარგებლებენ ასეთი ბინძური აბანოებით, მით უფრო, თუ ისინი, ხალხს, თანახმად თქვენი ცნობისა, მაინც არ რგებს.

წყნეთში, იანოს. ვფიქრობთ, რომ ეს ფსევდონიმი თქვენი არ უნდა იყვეს, თუ ნაწერი თქვენია. ხოლო, თუ ნაწერი მართლაც იანოსია, მაშინ ფსევდონიმი არ უდგება მას სრულიად. ამ ფსევდონიმით ჩვენი მკითხველი უკეთეს ნაწერებს არის დაჩვეული.

გომში (ქუთაისის მაზრა) გამჭრიახს. დიდი ვერაფერი გამჭრიახობაა მაინცა და მაინც, რიცა სწერთ საბჭოს წევრებმა ფული შეჭამესო, ხოლო იმას კი ვერ ტყობილობთ თუ ვინ რამდენი შეჭამა ან სრულიად რას უდრის შეჭმული თანხა.

მარანში (სენაკის მაზრა), მარუსია მიქაძეს, აღმასკომის თავმჯდომარეს და იონას. თქვენს შესახებ ცნობა გვაქვს, „ტარტაროზის“ კორესპონდენტს სდეენით. მართალია, თქვენი „დევნა“ ჯერ ჯერობით ლაძღვა-გინებაში იხატება თურმე, მაგრამ ესეც დაუშვებელია თუნდაც იმ ანდაზის მიხედვით, რომელიც ღაღადებს: „თუ პილპილი არ გიჭამია, პირი რად გეწვის“-ო.

აცანაში (გურია) ჭიკნარელ გზიკს. თქვენი პოემიდან აცანის თემის შესახებ უფრო საინტერესო ადგილია ის, სადაც ლაპარაკია ქარხნის ბუღალტერზე: განსაკუთრებით ეს ადგილი მოეწონა „ტარტაროზს“:

„მაგრამ უფრო უნდა იყოს,
როგორც ეტყობა, ლოთია:
წარმოდგენაში ვახშამზე
ბევრი გასტეხა ბოთლია“!...

აქ მხოლოდ სიტყვა „ბევრი“ ბრის შესაცვლელი ნამდვილი რიცხვით, როგორც ეს ბუღალტერიაში მიღებულია სავალდებულოდ.

სამტრედიაში, რავაილიძეს. გვწერთ: „სამტრედიის ელსადგურზე მანქანა იღუპება“-ო. ხოლო იმას კი არ იწერებით, თუ რა მანქანაა ეს, რომ იღუპება, ან ვისი მიზეზით იღუპება. რა დამოკიდებულებაშია ამ საქმესთან ფოხრეიძე, რომელზედაც თქვენ გაკვრით სწერთ. „ფოხრეიძე თვითონ იტყვისო“. რას იტყვის, თუ ჩვენ არ მივუთითებთ?

წალენჯიხაში, ტიკოს. „ახ, ტიკო, ტიკო, ჯან, ტიკო, ტიკო, ტიკჭორ!“ არა ლექსად რომ არ სწეროთ, ვითომ რა დაშავდება? განა, იმის შესახებ, რომ ადგილობრივი სადგურის უფროსს ძროხა ჰყავს და რძეს მოაგარაკეებზე ჰყიდის, უბრალო პროზათ კი ვერ მოგვწერდით? მაგრამ ამ სიგრძე ლექსის წერა, ალბათ, იმიტომ განიზრახეთ, რომ შიგ მოგეყოლებიათ ეს მშვენიერი კუპლეტი:

„სადგურის უფროსს ძროხები ყავს,
რძესა ჰყიდის დაჩნიკებზე,
თავისთვის კი სასმელ რძესა
ეფათ იძენს მთავრობაზე“-ო.

აბა, მთავრობაზე რძის შეძენა იქნება?

ჭიათურაში, გამვლელს. გამვლელი რომ ხართ, ზედვე ემჩნევა თქვენს კორესპონდენციას. მხოლოთ რაღაც ისეთი სწრაფი სავლელით გაგივლიათ, რომ ვერც ერთი ფაქტი ვერ არის გაშუქებული ისე, როგორც ეს საჭიროა. რაღაცაზე ამბობთ რაღაცას, მაგრამ — სახელდობრ — რაზედ, ეს „ტარტაროზმაც“ კი ვერ ახსნა.

წალენჯიხაში, კვიცს. კვიცის შესახებ მრავალი ანდაზა არსებობს. ერთი იმათგანი ასეთია:

„კვიცი რომ დედის წინ ხტომას დაიწყებს, მგელი შესჭამს“-ო.

ამ ანდაზიდან გამოდის, რომ კვიცი ხშირად ძალიან ცეტი არსებაა, წინააღმდეგ შემთხვევაში კვიცს არ აიღებდენ წინ გამოხტომის ნიმუშად.

ამის შემდეგ რა მოხდენილი უნდა იყვეს თქვენი ფსევდონიმი თქვენზე, როცა აგარაკების სეზონი თითქმის უკვე გასულია, როცა თქვენ აგზავნით ცნობას აგარაკ წალენჯიხის შესახებ. ფორმით რომ მისაღები იყვეს თქვენი ნაწარმოები, ჩვენ მას დავბეჭდავდით, თუმცა რა საარგებლობა უნდა მოეტანა მას ამ დაგვიანებულ დროში?!..

ჭიათურაში, ეშმაკს. ჯერ ერთი, რომ ეშმაკი უკვე ცნობილი ფსევდონიმი გახლავთ და იმისი მითვისება ასე ადვილ საქმეც არ არის, თქვენ რომ გგონიათ. მეორეც— თქვენ გვწერთ:

„ტარტაროზო“, სალამს გიძღვნი
სალამს მშვენიერსა“-ო.



თუ ეს თქვენი სალამის სიმშვენიერე თქვენს ლექსში გგონიათ, ჩვენ ასეთ „სიმშვენიერეს“ ყოველთვის და ყოველგან ზუგრს ვაქცევთ.

გუბის თემში, ვინცხას. მივიღეთ თქვენი ლექსი „მოქნილი კაცი“. შესაძლებელია დაგეთანხმოთ, რომ ის, ვისზეც თქვენა სწერთ, ე. ი. ალექსი, შეიძლება მართლაც იყვეს მოქნილი კაცი, მაგრამ არც თქვენ ბრძანებულხართ ნაკლებათ „მოქნილი“. ერთხელ დაუბეჭდავ ლექსს, თანაც „ცნობათა მიღებაში“ გამოცხადებულს თქვენ ისევ გვიგზავნით დასაბეჭდათ. ასეთ გავრცელებულ და განვითარებულ მოქნილობას, ვაი, თუ ვინმემ გაქნილობა უწოდოს!

აბაშის კლუბი



კულტმუშაოგბას თუ მკითხავთ,
ის აბაშაში დიდია:
ერთად ერთ კლუბზე ნიადაგ
კილო. ბოკლომი ჰკიდია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გატეხილი სიჯიუტე

ანუ ღიღინი მაკდონალდისა:

24 სექტემბრამდე თუმცა ჯოჩზე ვიჯექ-და დინჯათ ვიარე, საგზოთა ძავშირთან ურთიერთობის ალდგენის იდეა გოლოს მაინც გავიზი არე, აწცა ჩამოვხტი ჯოჩიდან და მინდა ცოტა აგერ წავუქვევითო ფოჩიდან...

---

*პოლიგრაფ-ტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქ. 68.